# Summer School
# &
# Moot Court Competition
# on the
# European Social Charter

**APPLY NOW**

Application deadline - 4 July 2025
Participation fully funded
Certificate upon completion

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# 2025 Summer School & Moot Court Competition on the European Social Charter for Law Students 28 July - 1 August 2025

The Council of Europe Office in Georgia is pleased to announce a call for applications for a **2025 Summer School and Moot Court Competition on the European Social Charter**. This initiative is part of the project **"Further Enhancement of Social and Economic Rights in Georgia."**

In an era of growing socio-economic challenges, the social rights guaranteed by the European Social Charter are more critical than ever. They are a cornerstone of democratic resilience, giving tangible meaning to democracy in people's everyday lives. As the Council of Europe calls for a **"new democratic pact"** that places social rights at the centre of our societies, this programme offers a unique opportunity for the next generation of Georgian legal professionals to become leaders in this vital field.

We invite motivated and aspiring law students to join us in this exciting journey **to deepen their knowledge and build the practical skills necessary to champion social justice in Georgia**.

## About the Program

Selected participants will first attend an intensive, **3.5 day Summer School scheduled from 28 July until 1 August 2025 in Georgia outside of Tbilisi. Exact location will be confirmed at a later date.**

The programme, led by distinguished Georgian and international experts, will provide in-depth knowledge of the **European Social Charter**, its monitoring mechanisms, and the case law of the **European Committee of Social Rights**, as well as their relationship with the **European Convention on Human Rights** and other international human rights instruments.

Following the Summer School, students will participate in a **Moot Court Competition in the autumn (October, date to be confirmed),** allowing them to apply their new knowledge in a practical, simulated environment and to showcase their legal skills both orally and in writing.

After the moot court, the first-place winning team may have the opportunity to join a **study visit to Strasbourg, France**.

## Why should you apply

**Gain Unparalleled Expertise**: Learn directly from leading national and international experts, including **Mr. Nikolaos Papadopoulos** and **Mr. Giorgi Chkheidze**, and receive hands-on preparation for the moot court from **Ms. Rusudan Kvachantiradze**.

**Develop Practical Skills:** Enhance your legal research, analysis, writing, and oral advocacy and practical professional skills through intensive training and a moot court simulation.

**Boost Your Career:** This is a unique opportunity to deepen your understanding of social and economic rights, the broader human rights framework, and the operation of Council of Europe human rights institutions, adding a significant and prestigious credential to your CV.

**Networking:** Connect with prominent legal professionals and a network of peers from across Georgia who are passionate about human rights.

**Fully Funded:** Participation in the Summer School and Moot court competition is fully funded. Travel, accommodation and meals for students from Tbilisi and the regions will be covered by the Council of Europe.

## Eligibility Criteria

Applicants must be:

- Currently enrolled as 3rd or 4th-year Bachelor of Laws (LLB) students or Master of Laws (LLM) students.
- Studying at an accredited university in Georgia (from Tbilisi or the regions).
- Knowledge of English (B2 level) is not required, but it will be considered an advantage.

**Please note: During the summer school, the language of instruction will be Georgian, and interpretation into Georgian will be provided for sessions conducted in English.**

## Selection Criteria

A total of 20-25 students will be selected. The selection will be based on a transparent and competitive process, evaluating candidates on the following:

- Demonstrated interest in human rights, including social and economic rights, and/or other relevant fields such as public international law, European law, labour and social security law (evaluated through the motivation letter).

- Strong academic standing (evaluated through the CV and motivation letter).

- Past experience in participating in summer/winter schools, moot courts or other relevant programmes (evaluated through the CV and motivation letter).

- Clear motivation and commitment to actively participate in all project phases, including the Summer School and the subsequent Moot Court Competition (evaluated through the motivation letter).

- Geographical and gender diversity will be considered to ensure a balanced group.

## How to apply

Interested candidates should submit the following documents in English to socialrightsgeorgia@coe.int **by 23:59 Tbilisi time on July 4, 2025**:

1. **Curriculum Vitae (CV)**. Please ensure you indicate all relevant information that demonstrates your eligibility for the summer school and moot court competition, including relevant courses taken in law school and outside, other pertinent learning activities, and your level of English language proficiency.
2. **Motivation Letter** (max. 1 page), outlining your interest in the programme, your suitability, your relevant experience (if any), and how you expect to benefit from this opportunity.

Please use "**2025 Summer School and Moot Court Competition Application: [Your Name]**" as the subject line of your email.

**Shortlisted candidates may be invited for a brief online interview between July 4 and July 10, 2025.**

For any inquiries, please contact: socialrightsgeorgia@coe.int

## 2025 საზაფხულო სკოლა და იმიტირებული სასამართლო პროცესი ევროპის სოციალურ ქარტიაზე სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 28 ივლისი - 1 აგვისტო 2025

საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისი, პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების შემდგომი გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, აცხადებს კონკურსს სტუდენტებისთვის 2025 წლის საზაფხულო სკოლასა და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ეძღვნება ევროპულ სოციალურ ქარტიას.

მზარდი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ეპოქაში, ევროპის სოციალური ქარტიით გარანტირებული უფლებები ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. ისინი დემოკრატიული სტაბილურობის ქვაკუთხედია და დემოკრატიას მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელშესახებ მნიშვნელობას სძენს. იმ დროს, როდესაც ევროპის საბჭო მოუწოდებს **„ახალი დემოკრატიული პაქტისკენ“,** რომელიც სოციალურ უფლებებს ჩვენი საზოგადოებების ცენტრში აყენებს, ეს პროგრამა საქართველოს მომავალ იურისტებს უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, გახდნენ ლიდერები ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში.

მოტივირებულ და მიზანდასახულ სამართლის სტუდენტებს ვიწვევთ, შემოგვიერთდნენ ამ საინტერესო წამოწყებაში, გაიღრმავონ ცოდნა და განავითარონ პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია საქართველოში სოციალური სამართლიანობის დასაცავად.

## პროგრამის შესახებ

შერჩეული მონაწილეები პირველ ეტაპზე დაესწრებიან ინტენსიურ, **3.5-დღიან საზაფხულო სკოლას, რომელიც 2025 წლის 28 ივლისიდან 1 აგვისტოს პერდიოში გაიმართება საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, თბილისის გარეთ. ზუსტი ადგილმდებარეობა მოგვიანებით დაზუსტდება.**

პროგრამას გაუძღვებიან გამორჩეული ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები. კურსი მონაწილეებს მისცემს სიღრმისეულ ცოდნას **ევროპული სოციალური ქარტიის**, მისი მონიტორინგის მექანიზმებისა და **სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის** პრეცედენტული სამართლის შესახებ, ასევე მის კავშირზე **ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან** და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან.

საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ, სტუდენტები **შემოდგომაზე (ოქტომბერში, თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება) მონაწილეობას მიიღებენ იმიტირებულ სასამართლო პროცესში,** რაც მათ საშუალებას მისცემს, გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ, სიმულაციურ გარემოში და წარმოაჩინონ თავიანთი იურიდიული უნარები წერილობითი და ზეპირი ფორმით.

იმიტირებული სასამართლო პროცესის შემდეგ, პირველ ადგილზე გასულ გუნდს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა **სასწავლო ვიზიტით გაემგზავროს სტრასბურგში, საფრანგეთში.**

## რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა?

- **შეიძინეთ შეუდარებელი გამოცდილება**: მიიღეთ ცოდნა უშუალოდ წამყვანი ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტებისგან, მათ შორის, **ბ-ნი ნიკოლაოს პაპადოპულოსისა** და **ბ-ნი გიორგი ჩხეიძისგან**, და გაიარეთ პრაქტიკული მომზადება იმიტირებული პროცესისთვის **ქ-ნი რუსუდან კვაჭანტირაძის** ხელმძღვანელობით.

- **განავითარეთ პრაქტიკული უნარები:** გააუმჯობესეთ სამართლებრივი კვლევის, ანალიზის, წერის, ზეპირი არგუმენტაციისა და პრაქტიკული პროფესიული უნარები ინტენსიური ტრენინგისა და იმიტირებული სასამართლო პროცესის მეშვეობით.

- **გაიძლიერეთ კარიერული პერსპექტივები:** ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გაიღრმავოთ ცოდნა სოციალური და ეკონომიკური უფლებების, ადამიანის უფლებათა ფართო ჩარჩოსა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ, რაც თქვენს CV-ს მნიშვნელოვან და პრესტიჟულ უპირატესობას შემატებს.

- **დაამყარეთ კავშირები:** შეხვდით გამოჩენილ იურისტებსა და ადამიანის უფლებებით გატაცებულ თანატოლებს საქართველოს მასშტაბით.

- **სრული დაფინანსება:** საზაფხულო სკოლასა და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა უფასოა. **თბილისიდან და რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებს ევროპის საბჭო დაფარავს.**

## საკონკურსო მოთხოვნები

კანდიდატები უნდა იყვნენ:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამის (LLB) III ან IV კურსის, ან სამაგისტრო პროგრამის (LLM) მოქმედი სტუდენტები.
- საქართველოს აკრედიტებული უნივერსიტეტის სტუდენტები (თბილისიდან ან რეგიონებიდან).
- ინგლისური ენის ცოდნა (B2 დონე) არ არის სავალდებულო, თუმცა ჩაითვლება უპირატესობად. **გთხოვთ, გაითვალისწინოთ: საზაფხულო სკოლის განმავლობაში, სწავლების ენა იქნება ქართული, ხოლო ინგლისურ ენაზე ჩატარებული სესიებისთვის უზრუნველყოფილი იქნება ქართულენოვანი თარგმანი.**

## შერჩევის კრიტერიუმები

სულ შეირჩევა 20-25 სტუდენტი. შერჩევა წარიმართება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესით, რომლის დროსაც კანდიდატები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- ადამიანის უფლებების, მათ შორის სოციალური და ეკონომიკური უფლებების, და/ან სხვა შესაბამისი სფეროებისადმი (როგორიცაა საერთაშორისო საჯარო სამართალი, ევროპული სამართალი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი) გამოხატული ინტერესი (შეფასდება სამოტივაციო წერილის საფუძველზე).
- მაღალი აკადემიური მოსწრება (შეფასდება სამოტივაციო წერილის და რეზიუმე (CV)-ის საფუძველზე).
- საზაფხულო/ზამთრის სკოლებში, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში ან სხვა შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის წინაგამოცდილება (შეფასდება სამოტივაციო წერილის და რეზიუმე (CV)-ის საფუძველზე).
- პროექტის ყველა ეტაპზე, მათ შორის საზაფხულო სკოლასა და შემდგომ იმიტირებულ სასამართლო პროცესში, აქტიური მონაწილეობის მკაფიო მოტივაცია და მზაობა. (შეფასდება სამოტივაციო წერილის საფუძველზე).
- დაბალანსებული ჯგუფის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იქნება გეოგრაფიული და გენდერული მრავალფეროვნება.

## როგორ შემოვიტანოთ განაცხადი

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე ელექტრონულ ფოსტაზე: socialrightsgeorgia@coe.int **2025 წლის 4 ივლისს თბილისის დროით 23:59 საათამდე:**

1. **რეზიუმე (CV)**. გთხოვთ, მიუთითოთ ყველა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც წარმოაჩენს თქვენს შესაბამისობას საზაფხულო სკოლისა და იმიტირებული სასამართლო პროცესის მოთხოვნებთან, მათ შორის, სამართლის სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ გავლილი კურსები, სხვა შესაბამისი სასწავლო აქტივობები და ინგლისური ენის ცოდნის დონე.
2. **სამოტივაციო წერილი** (მაქსიმუმ 1 გვერდი), სადაც აღწერთ თქვენს ინტერესს პროგრამის მიმართ, თქვენს შესაბამისობას, რელევანტურ გამოცდილებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რას მოელით ამ შესაძლებლობისგან.

გთხოვთ, ელფოსტის სათაურში (Subject) მიუთითოთ: "**2025 Summer School and Moot Court Competition Application: [თქვენი სახელი და გვარი]**".

**შერჩეული კანდიდატები შესაძლოა მოწვეულნი იყვნენ მოკლე ონლაინ გასაუბრებაზე 2025 წლის 4-დან 10 ივლისამდე პერიოდში.**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: socialrightsgeorgia@coe.int